სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

15 დეკემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 220

2025 წლის ქართველოლოგიის კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის N153/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „2025 ქართველოლოგიის კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის N130 ბრძანებით დამტკიცებული კონკურის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „რ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1784445, 15/12/2025) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2025 წლის ქართველოლოგიის კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების წარმდგენებმა არაუგვიანეს 2025 წლის 19 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) მიზნობრივი ანგარიშის (სახაზინო /საბანკო ანგარიში) რეკვიზიტები რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და განხორციელდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნიათ დავალიანებასახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;
გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

3. დაევალოს ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2025 წლის 29 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

დანართი
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 15 დეკემბრის N-220 ბრძანებით

2025 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის შიფრი
1	GSDP-25-528
2	GSDP-25-513
3	GSDP-25-585
4	GSDP-25-410
5	GSDP-25-273
6	GSDP-25-489
7	GSDP-25-942
8	GSDP-25-478
9	GSDP-25-294
10	GSDP-25-239
11	GSDP-25-205
12	GSDP-25-996
13	GSDP-25-1021
14	GSDP-25-556
15	GSDP-25-567
16	GSDP-25-232
17	GSDP-25-1272
18	GSDP-25-1016
19	GSDP-25-413
20	GSDP-25-617